# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 1-797

„13" მაისი 2016 წ.

ქ. თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზირი #34-ში, 101-ე სკოლის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: #01.14.03.042.126), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის მესამე ნაწილის „ა" ქვეპუნქტის, 161-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 166-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე მუხლის და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2016 წლის 5 მაისის სხდომის №24 ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზირი #34-ში, #101-ე სკოლის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: #01.14.03.042.126), განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=2,6saw.
2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, $12^2$-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12.12.2014 წლის №7-49 დადგენილების შესაბამისად ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებელის გაცემისთვის გახსნილ ანგარიშზე, მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი". ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 ა/ანგარიში:GE86LB0125152101629490. **20208** ლარი.
3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.
5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერი

ბრძანება №1834

"3" აპრილი 2015 წ.

ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირის №34–ის შიდა კვარტალში, №101–ე სკოლის მოპირდაპირედ, (ნაკვეთი №№21, №22, №20), არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.126) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 161-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 166-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2015 წლის 26 მარტის სხდომის №14 ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირის №34–ის შიდა კვარტალში, №101–ე სკოლის მოპირდაპირედ, (ნაკვეთი №№21, №22, №20) არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.126), ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=2,3.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებელისთვის გახსნილ ანგარიშზე. მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი". ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში:GE07LB0125152101629069.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ

საქმე №330310014685545

3250954847669

www.info.court.ge

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით
(სარეზოლუციო ნაწილი)

საქმე №3/5567-15
29 მარტი, 2017 წელი ქ. თბილისი

## შესავალი ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ნინო ყანჩაველი
სხდომის მდივანი მაგდა ქამხაძე

**მოსარჩელე** - ბმა ,,ტერასა 2011"
**თავმჯდომარე** - ნანა მარგველაშვილი
**წარმომადგენლები** - გია დარჩია და ნიკოლოზ კახეთელიძე

**მოპასუხე** - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
**წარმომადგენელი** - თამარ ჩახმახაშვილი

**მოპასუხე** - სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური
**წარმომადგენლები** - სოფიო ჭირაქაძე და გიორგი მძევაშვილი

**მესამე პირი** - სს ,,კურაციო"
**წარმომადგენელი** - ლევან მურღულია

**დავის საგანი** - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

## სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-12, 22-ე, 32-ე და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 53-ე მუხლის პირველი ნაწილით, 243-ე, 248-ე, 249-ე, 364-ე, 367-ე, 369-ე მუხლებით,

# გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ზმა ,,ტერასა 2011-ის" სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი ქ. თბილისი მუნიციპალიტეტის მერის 03.04.2015წ №1834 და 13.05.16წ. N1-797 ბრძანებები და ქალა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალოს ახალი გადაწყვეტილების მიღებ საქმის არსებითი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ;

3. ზმა ,,ტერასა 2011-ის" სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

4. მოპასუხე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელე ზმა ,,ტერას 2011-ის" სასარგებლოდ დაეკისროს მოსარჩელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახი გადახდილი თანხის 200 (ორასი) ლარის ანაზღაურება;

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის შეტანის გზით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებარ ქ.თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №7ა) თბილისის საქალაქო სასამართლო ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით (მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) 14 დღის ვადაში დასაბუთებულ გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემის მომენტიდან.

მოსამართლე ნინო ყანჩაველი